25.05.2009: აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №31

2009 წლის 25 მაისი
ქ. თბილისი

დღის წესრიგი:
1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის მილევადი საბაკალავრო პროგრამების საკვალიფიკაციო გამოცდების გაუქმების შესახებ.
2. უცხო ენათა ფილოლოგიის ფაკულტეტის მილევადი საბაკალავრო პროგრამების საკვალიფიკაციო გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით.
3. ფიზიკისა და მათემატიკის ფაკულტეტის მილევადი საბაკალავრო პროგრამების საკვალიფიკაციო გამოცდის „პედაგოგიკაში" გაუქმების შესახებ.
4. ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 4 სრული პროფესორისა და 2 ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების დამტკიცება.
5. ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დამტკიცება.
6. ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დამტკიცება.
7. ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დამტკიცება.
8. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დამტკიცება.
9. სპორტის მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის დამტკიცება.
10. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დამტკიცება.
11. ფიზიკისა და მათემატიკის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დამტკიცება.
12. განათლების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დამტკიცება.
13. უცხო ენათა ფილოლოგიის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დამტკიცება.
14. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელისა და მსმენელის სტატუსის განსაზღვრის წესი და პირობები.
15. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების სამსახურის დებულების დამტკიცება.
16. უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების სამსახურის დებულების დამტკიცება.
17. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის დეკანის წარდგინება ბატონი ლეო კვაჭაძისათვის საპატიო დოქტორის წოდების ხარისხის

მინიჭებასთან დაკავშირებით.
18. მაქს პლანკის ინსტიტუტის პროფესორის თეიმურაზ კურცხალიას წინადადება, უნივერსიტეტის ეგიდით შეიქმნას "მეტაბოლური გენეტიკის კვლევის ქართული ინსტიტუტი" არასამთავრობო არამომგებიანი იურიდიული პირის სტატუსით.
19. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამების მართვის მიმართულებით სამსახურეობრივი ბარათის განხილავა საგნობრივი დავალიანების აღდგენისათვის სწავლის საფასურის განხილვასთან დაკავშირებით.
20. 2008 წლის 24 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებუ „აკადემიური დავალიანების დაფარვისა და სტუდენტის განხილვის წესში ცვლილება"

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე - საბჭოს თავმჯდომარე
2. შუქია აფრიდონიძე - სხდომის მდივანი
3. მზია ბაქრაძე
4. ნათელა იმედაძე
5. გიორგი ნახუცრიშვილი
6. აივენგო შათირიშვილი
7. ჯუანშერ ჩქარეული
8. ქეთევან გურჩიანი- ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

2009 წლის 25 მაისის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტზე მილევადი საბაკალავრო პროგრამების საკვალიფიკაციო გამოცდები.
2. გაუქმდეს უცხო ენათა ფილოლოგიის ფაკულტეტზე მილევადი საბაკალავრო პროგრამების საკვალიფიკაციო გამოცდები.
3. გაუქმდეს ფიზიკისა და მათემატიკის ფაკულტეტზე მილევადი საბაკალავრო პროგრამების საკვალიფიკაციო გამოცდები.
4. გამოცხადდეს კონკურსი ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 4 სრული პროფესორისა და 2 ასოციირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე.
5. დამტკიცდეს ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა. ფაკულტეტმა ა.წ. 10 ივნისამდე წარმოდგენილ იქნეს სილაბუსები, რაც იქნება პროგრამის ამოქმედების წინაპირობა.

6. დამტკიცდეს ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემდეგი სადოქტორო პროგრამები: 1. პოლიტიკის მეცნიერება (საჯარო პოლიტიკა, შედარებითი პოლიტოლოგია);

2. საერთაშორისო ურთიერთობები და უსაფრთხოების კვლევები;

3. სოციოლოგია და დემოგრაფია;

4. ფილოსოფია. ფაკულტეტს მიეცეს დრო ა.წ. 15 ივნისამდე პროგრამების სრულსაყოფად რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება მათი ამოქმედება.
7. დამტკიცდეს ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამები:

1. მოლეკულურ ბიოლოგიაში;

2. მცენარეთა მრავალფეროვნებასა და ტაქსონომიაში;

3. ბიომრავალფეროვნება და ევოლუციური ბიოლოგიაში;

4. ალპური მცენარეულობის ეკოლოგიაში;

5. დაცული ტერიტორიების მენეჯმენტში. ფაკულტეტს მიცეს დრო 15 ივნისამდე პროგრამების სრული სახით წარმოდგენისათვის, რაც იქნება პროგრამების ამოქმედების წინაპირობა.
8. დამტკიცდეს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამები:

1. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები და დისტანციური ზონდირება;

2. სედიმენტოლოგია და ლითოლოგია;

3. ტექტონიკა გაერთიანდეს გეოლოგიაში. პროგრამების ამოქმედების წინაპირობა არის მათი სრულყოფა 20 ივნისამდე.
9. დამტკიცდეს სპორტის მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა „სპორტის ფიზიოლოგია" ფაკულტეტს მიეცეს დრო 15 ივნისამდე პროგრამის სრულყოფისათვის რაც იქნება ამოქმედების წინაპირობა.
10. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამები:

1. იდეოლოგია და ენა;

2. ფილოსოფია;

3. პოლიტიკის ანთროპოლოგია;

4. შუა საუკუნეების კვლევები;

7. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა;

6. არქეოლოგია. პროგრამების ამოქმედების წინაპირობა არის ა.წ. 20 ივნისამდე წარმოდგენა პროგრამები სრული სახით.
11. დამტკიცდეს ფიზიკისა და მათემატიკის ფაკულტეტის შემდეგი სადოქტორო პროგრამები:

1. ასტროფიზიკის ან თეორიული ფიზიკის პროგრამაში (ეს საკითხი გადაწყვიტოს ფაკულტეტმა).

2. ატმოსფეროს და ონოსფეროს ფიზიკა;

3. გეომეტრია და ტოპოლოგია;

4. ნანოსისტემების ფიზიკა;

5. ასტრონომია და ასტროფიზიკა;

6. ბიოფიზიკა;

7. გამოთვლითი მათემატიკა;

8. კონდენსირებული გარემოს ფიზიკა ამ პროგრამაზე იმსჯელოს ფაკულტეტის საბჭომ. პროგრამების ამოქმედების წინაპირობა არის ა.წ. 15 ივნისამდე პროგრამების სრულყოფილად წარმოდგენა.
12. დამტკიცდეს განათლების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამები

1. მოზარდობის ფსიქოლოგია

2. უცხო ენების მეთოდიკა/დიდაქტიკა;

3. განათლების ფსიქოლოგია.
13. უარი ეთქვას უცხო ენათა ფილოლოგიის ფაკულტეტს სადოქტორო პროგრამის ლიტერატურა, როგორც მენტალობის და კულტურის ტრადიცია და ევოლუცია (ლიტერატურული ჟანრები, პოეტიკა, ტიპოლოგია და შემოქმედებითი აზროვნების ფორმები და ტრანსფორმაცია) დამტკიცებაზე, იმის გამო, რომ არ გაერთიანდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამასთან.

14. დამტკიცდეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსმენელისა და თავისუფალი მსმენელის სტატუსის განსაზღვრის წესი და პირობები წარმოდგენილი სახით.
15. დამტკიცდეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების სამსახურის დებულება და წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.
16. დამტკიცდეს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების სამსახურის დებულება შემოთავაზებული სახით, და წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.
17. დამტკიცდეს, მიენიჭოს საპატიო დოქტორის წოდება ბატონ ლეო კვაჭაძეს უნივერსიტეტში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ღვაწლმოსილი საქმიანობისათვის.
18. დაფუძნდეს "მეტაბოლური გენეტიკის კვლევის ქართული ინსტიტუტი" არასამთავრობო, არამომგებინი იურიდიული ფორმით. სრული სახელწოდება ქართულად: "ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტაბოლური გენეტიკის კვლევის ქართული ინსტიტუტი". ინგლისურად: "Georgian Instituite for Metabolic Genetics of Ilia Chavchavadze State Univerity". დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მოამზადოს ინსტიტუტის წესდება და დაარეგისტრიროს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
19. დამტკიცდეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის „უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესი" ახალი რედაქციით.
20. გაუქმდეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2008 წლის 4 აპრილის „უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესი".
21. დამტკიცდეს 2008 წლის 24 ოქტომბერს აკადემიური საბჭოს №24 მიერ დამტკიცებულ ,,აკადემიური დავალიანების დაფარვისა და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესში" შევიდეს ცვლილება და ამ წესის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
,,სტუდენტები, რომლებიც გაფრთხილების მიუხედავად 2009 წლის 1 ივლისამდე არ გამოთქვამენ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებისა და ამ წესის მეორე პუნქტით დადგენილ სწავლის საფასურის გადახდის სურვილს, გაირიცხებიან უნივერსიტეტიდან მოქმედი წესის შესაბამისად."

სხდომის თავმჯდომარე: გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი: შუქია აფრიდონიძე